

ବେଳା ପାତାରୁକାଣ୍ଡା



# ବେଳା ପାତାରୁକାଣ୍ଡା ପାତାରୁକାଣ୍ଡାରେ

ქართველი ბუნების  
მდგრადი გაცემისა



ნიკო კეცხოველი



+R  
+P  
+P

# გეოგვარე და გაუფრთხილები

გამოიცემობა „ვანათლება“  
თბილისი — 1989

28.58 (2 1)

581. 9 (479.22)

გ 434

წინამდებარე წიგნში მოკლედ დაბასიათებულია საქართ-  
 ველის იშვიათი და მქამად დაცვას დაქვემდებარებული  
 ხეები, ბუჩქები და ბალახები, რომელთა უმრავლესობა  
 ჩვენი რესპუბლიკის ენდემურ სახეობათა რიცხვს ეკუთვნის.  
 ეს წიგნი ფართო მკითხველს, კერძოდ საქართველოს  
 ფლორითა და ბუნების დაცვის საკითხებით დაინტერესე-  
 ბულ პირებს, ბევრ საგულისხმოს მიაწვდის, გაუღვიძებს  
 შეობლიური ბუნების სიუვარულს.

რეცენზენტი: ლო. ჭ. ასათანი, მეთოდისტი მ. მდინარეშვილი

K 300.016

რ 4306020900—020  
 M—602 (08)—89

ISBN 5—505—00857—7



© გამომცემლობა „განათლება“, 1989.

## 1. შეგერნის შემრი (Rhododendron ungernii Trautv.)

საქართველოში სამნაირი შეერი გვაქვს: პონტური შეერი, უნგერნის შეერი და სმირნოვის შეერი. თუ მათ დეკაბრი მივუმატებთ, რაღან ლეკაც შეერია (როდოდენდრონი), მაშ თოხნაირი შეერი გვქონია.

პონტური შეერი ჩვენში ფართოდაა გავრცელებული. იგი ჩვეულებრივია დასავლეთ საქართველოს ტყეებში, განსაკუთრებით რცხილნარებსა და წიფლნარებში, იზრდება ქვეტყეში, გვხვდება ბორჯომის ხეობაშიც, ბანის ხევში, ლიხის ქედზე და სხვაგან. მისი პირისფერი ყვავილი მსხვილია.

უნგერნის შეერი იზრდება სამხრეთ საქართველოში — აჭარასა და ლაზეთში. აჭარაში, მდინარე ყოროლის ხეობაში, ჩვეულებრივია, ნამწვავის ხევში კი ტყის მოსპობის შემდეგ მას დაუშერია მთის ფერდობები. ყვავილები თეთრი ან მოვარდისფრო აქვს, მაღალი ბუჩქია, ხშირად 3—6 მეტრის სიმაღლისაა, მცენარის ნორჩი ტოტები და ფოთლის ქვედა მხარე შებუსვილია. ფოთლის ქვედა მხარე ისე ინტენსიურადაა შებუსვილი, რომ იგი სულ თეთრია. ფოთოლი საქმაოდ დიდია, სიგრძე 10—23 სმ და სიგანე 4—8 სმ. ფოთოლი ბოლოვდება წვეტით.

ყვავილები ქოლგისებრად შეკრებილია ყლორტის წვერზე. ქოლგაში 10—15 საკმაოდ დიდი ყვავილია.

მაღალი მარადმწვანე ბუჩქია. თეთრი ან მოვარდისფრო ლამაზი ყვავილი აქვს. ეს თვისება კი კარგი დეკორატიული მცენარისაა, გარდა ყოველივე ამისა, სხვა შეერებთან ერთად მესამეულის რელიქტია, ე. ი. ჩვენს ტყეებში რამდენიმე მილიონი წლის წინათაც ცხოვრობდა, მაშინ, როდესაც კავკასიის ვაკენი ზღვას ეჭირა.

სმირნოვის შეერი ჭოროხის ხეობაში გვხვდება. მისი გავრცელების მთავარი ბუდე საქართველოს მიღმა დარჩა, ართვინის ოლქში. ესეც მარადმწვანე ბუჩქია. ფოთოლი გრძელი აქვს — 10—15 სმ, ქვევიდან თეთრი ქეჩისებრი ბუსუსითაა დაფარული, ყვავილი მეწამული-წითელია. შეიძლება აჭარის მივარდნილ იდგილებშიც იყოს.

## 2. ქელვა (Zelkova carpinifolia (Pall.) Dipp.).

ქელვა მეცნიერებისათვის პირველად ცნობილი გახდა საქართველო-დან და, როდესაც ლათინურად სახელს არქმევდნენ, ლათინურადაც ქართული სახელი დაუტოვეს.

საქართველოში უკვე შედარებით იშვიათია, მისი კორომი არის აჯანყებული და კახეთში სოფ. ბაბანეურთან, აქ მას მეთის ძელების ნაკრძალში და კახეთში სოფ. ბაბანეურთან, აქ მას „ალუხს“ უწოდებენ. აღმ. საქართველოში გარდა ბაბანეურისა, იზრდება სოფ. მუხრანის მახლობლად დამპალოს (ვაზიანის) მიდამოებში. რამდენიმე ხე, ისიც ხელოვნურად გაშენებული, არის ბოტანიკურ ბაღში, ს. ორგონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში (ყოფ. მუშტაიდში) და სხვაგან. შემდეგ წყდება და ჩნდება დასავლეთ საქართველოში ზესტაფონიდან, შეიძლება ითქვას, შავი ზღვის სანაპიროზე, მაგრამ ვანის შემდეგ (ლანჩხეუთი, ჩრხატაური), მხოლოდ ადგილ-ადგილა შემორჩენილი დაბალ ბუჩქებად, რომელიც პირუტყვისაგანაა დაკორტნილი. მრავალ ადგილას (მაიაკოვსკი, ვანი, ბანდა, ცაიში თერჯოლა და სხვ.) გვხვდება შესანიშნავი ეგზემპლარები, მაგალითად, თერჯოლის ძელქვა (იშხნელიანთ უბანი) დამეტრში 6 მ და სიმაღლით 50 მ იყო, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ დაიღუპა. მრავალ ეზო-კარმი-დამოში ჭერ კილევ დგანან ლამზი და მაღალი ხეები, მაგრამ ბევრგან ჩეხავენ და მიწას საბოსტნედ იყენებენ.

ლენქორანში ძელქვის უფრო კარგი ტყეებია შემონახული, სადაც ძელქვა ბარიღან მთამაღალამდე აღწევს, „რამ დამღუპაო და ჩემმა კარგმა მერქვანანამ“, შეუძლია თქვას ძელქვამ. მართლაც, მისი ძელი ქვასავით მაგარია, სახელიც ხომ აქედან შეერქვა. ძელქვის სახლი საუკეთესოდ ითვლებოდა.

აუცილებელია გავუფრთხილდეთ, გავაშენოთ ქარსაფარად, ძელქვით გავატყიანოთ გასატყიანებელი ადგილები. ადვილად მრავლდება ოსტიოთ.

3. ქართული თხევდი (*Corylus iberica* Wittm. et Kem. — Nath.)

ქართული თხილი მეცნიერული სახელშორებაა, ხალხში კი მას და-  
ოვის თხილს უწოდებენ. სხვა თხილებისაგან განსხვავებით, რომელნიც  
ჩვეულებრივად ბუჩქებია, ეს უზარმაზარ ხედ იზრდება, ზოგჯერ 1-1,5 მ  
სისქისაა და 25-30 კ სიმაღლისა. დღეს ჩვენს ტყეებში ასეთი ცალები  
აღარსად შემხვედრია და აღბათ აღარც პრის. ახლო წარსულში კი ხში-  
რი ყოფილა. მისი მორისაგან აკეთებდნენ ყურძნის საწურავ ნავებს

(საწნახელს), ასეთი ნავი მევენახეობის ინსტიტუტის მუზეუმშიც გარდა საწნახლებისა, მისგან ითლებოდა კოდები ხორბლისა და სხვა მარცლეულის შესანახად, რომელშიც რამდენიმე ტონა მარცლეული ეტეოდა, ვარცლები, თაბახები, ტაბაკები და სხვა ავეჯი. ამ მხრივ იგი ფასდებოდა, რაღაც, როდესაც ხმებოდა, არა სკდებოდა, რაც საოჯახო ჰურკლისათვის კარგი თვისებაა.

დღესაც გვხვდება რცხილნარებსა და წიფლნარებში ქართული თხილის ხეები, მაგრამ 20-30 სმ სისქეს არ აჭარბებს.

მისი ყვავილი, როგორც სხვა თხილებისა, ორსახლიანია, მამრობითი ყვავილი მჭადაღაა შეკრებილი (ასეთ ყვავილთა კრებულს საყურესა და ლექვებსაც უწოდებენ). მდედრობითი ყვავილები მოკლე ღრეოზე სხედან და ნაყოფი ჩვეულებრივად 2-7 ერთად ვითარდება, ყოველ ნაყოფს საბურველი ფოთოლაკი აქვს განვითარებული. გამოცანაც ამას ამბობს „ტყეში ხარი შემივარდა გამო გამო გიშერაო, შევხედე და გამოვარდა უბეწვი და შიშველაო.“

თვითონ თხილი (ნაყოფი) მეტის მეტად კირკიტია და საჭმელად თითქმის გამოუყენებელია, მაგრამ საკმაოდ გემრიელი კია.

ეს თხილი უაპველად მოსავლელი და გასაფრთხილებელია, გამოყენებული უნდა იქნეს ტყეების აღდგენის დროს, ქარსაფარებში, პატარა კორომების შექმნის დროს.

ჩვენში ველურად, გარდა ქართული თხილისა, გვხვდება კიდევ ოთხი, სახელდობრ, ჩვეულებრივი თხილი ყველგან, მთაშიც და ბარშიც, ტყეშიც და ცალკე შალამებადაც. განსაკუთრებით ბევრია ზოგ ფიჭვნარში. პონტური თხილი იზრდება აჭარაში.

იმერული თხილი — რაჭა-ლეჩხეუმში, იმერეთში.

კოლხური თხილი იზრდება აფხაზეთსა და სამეგრელოში კირქვებზე. ნაყოფს აგროვებენ ჩვეულებრივი თხილისას, ბევრ ბუჩქზე საკმაოდ ნაზნაჭუჭიან და გემრიელ ნაყოფს კრეფენ.

#### 4. მთამაღალის ბოკვი (Acer trautvetteri Medw.)

მთამაღალის ბოკვს მეცნიერებაში ტრაუტვეტერის ბოკვს უწოდებენ. ფრიად ლამაზი, მაღალი, ქოჩორა ხეა. განსაკუთრებით ლამაზია შემოდგომის პირზე, როდესაც მისი ნაყოფები წითლად და ნარინჯისფრად ფელვარდებიან. ჩვეულებრივად იზრდება არყნარში ან ცალკეულ ხეებად, ან ლამაზ კორომებსა ქმნის, მასთან ერთად უფრო ხშირად იზრდება ცირცელიც, მაგრამ სილამაზე მარტო მათ მიერი კი არა. ირგვლივ ყველაფერი ლამაზია, ხეები რაკი ურთიერთისაგან დაცილებით დგანან. მათ შორის ფართობი მდელოებს უჭირავს. აქ ნახვს კაცი წითელ გვი-

რილას, სოსანს, მზიურას, კენკეშას, თეთრ მაჩიტას, დიყსა და დალანგას, ნაირ-ნაირ სამყურას, ტანმაღალ გვრიტას, და კიდევ ვინ იცის რამდენ ათას სხვას, ერთმანეთზე უკეთესსა და თვალწარმტაცს. იქნება სწორედ ამ მდელომ ათქმევინა ანა კალანდაძეს:

არაგვს ზემოთ, არაგვს ქვემოთ  
წელამდევა სათიბები,  
კენკეშა და უკადრისა  
ნაზ სათუთად ნატიფები.

მართალია მთამაღალის ბოკვი ნელა იზრდება, მაგრამ იშვიათი არაა, რომ ღერო სისქით თითქმის მეტრია.

იგი შესანიშნავი დეკორატიული მცენარეა. მთის კურორტების ერთ-ერთი დამამშვენებელია.

გარდა მთამაღალის ბოკვისა, ჩვენში კიდევ ვეხვდება სხვა ნეკერჩელები: ქორაცფი, საშუალო სიმაღლის მცენარეა, უფრო ხშირად ვეხვდება მუხნარებსა და რცხილნარებში. ღვრკა — ღიდი ხეა, იზრდება წიფლნარებში. ბოკვი — ღიდი ხეა, ხშირად 40-50 მ სიმაღლისა. შერეულია წიფლნარებსა და რცხილნარებში. მთის ნეკერჩელი — ესეც ღიდი ზომის ხეა (40მ), შერეულია მთის ნესტიან ტყეებში.

თათრული ნეკერჩელი — პატარა ხეა, იზრდება ხრიოვანგილებზე, რაჭაში, კახეთში. სოსნოვსკის ნეკერჩელი — საშუალო ხეა, 20-25 მეტრის სიმაღლისა. იზრდება მუხნარებში, რცხილნარებსა და ფიჭვნარებში. ვეხვდება აღხაზეთში. პირკანის ნეკერჩელი — ვეხვდება იშვიათად მთის ტყეებში; სამხრეთ კავკასიონზე ხეები ალპურ ტყეშიც შეიძლება შევხვდეს. ჩვეულებრივი ნეკერჩელი — ყველაზე ხშირად იზრდება ჭალის, ბარის და მთის ტყეებში, განსაკუთრებით მუხნარებსა და რცხილნარებში, ხე საშუალო ზომისაა; მისგან აკეთებდნენ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს (გუთანს, უღველს). თითო-ოროლა ვანური ნეკერჩელი შეიძლება იჭირის სამხრეთში ალინიშნოს. ქართული ნეკერჩელი იხ. ქვემოთ.

## 5. შერთული ნეკერჩელი (Acer ihericum M. B.)

თუ მთამაღალის ბოკვი მაღლა, სუბალპებში იზრდება, სამაგიეროდ შერთული ნეკერჩელი ველების ფარგლებში ხარობს, ნათელ ტყეებში, საშირად ნახევარულაბნოების მახლობლად, ხეს რაკი გვალვიან აღგილებში ცხოვრობს. ნელი ზრდა ახასიათებს, პატარა ხეა, კარგ პირზებში მისი ღეროს სიმსხო ნახევარ მეტრსაც აღწევს (შირაქი, ნაგის



წყლის ხევი). ფოთოლი წვრილი აქვს და ამიტომ ვარჯი ფრიანულია ზოდებულია ზია და თავისებურად მოზაიკური.

ქართული ნეკერჩხალი, როგორც ბარის მცენარე, ხენა-თესვის არე-შია მოქცეული და საკმლის ხესთან, აქავისთან და სხვა მათ მაგვარებ-თან ერთად იჩეხება და მათ ნაალაგებს ბალ-ვენახები შენდება. ბალ-ვე-ნახის გაშენებას ერთი ხის გადასარჩენად ზელს ვერ შევუშლით, სამა-ჭიეროდ კულტურაში ფართოდ უნდა გამოვიყენოთ: ხრიოკ აღგი-ლებზე ტყეების შესაქმნელად საკმლის ხესთან, აკაკისა და მათ მაგვა-რებთან ერთად გზის პირზე ქარსაფარ ზოლებში, ველებისა და ნახევარ-უდაბნოთა ფარგლებში, ბალ-პარკებსა და სკვერებში, ძალიან კარგია ჭუჩის ნარგაობისათვის. მაღალი არ იზრდება და ამავე დროს ჩრდილსაც იძლევა, რაკი ერთხელ დასახლდება და ფესვს გაიდგამს, მორწყვა აღარ სჭირდება.

## 6. ღება (*Rhododendron caucasicum* L.)

ღება კავკასიის მთების მშვენებაა. მას მეცნიერებაში კავკასიურ დეკას უწოდებენ. ალპურ სარტყელში ჩრდილოეთისაკენ მიქცეული ფერდობები იცლის ბოლოს თეთრად გადისტენტება ხოლმე, რაღგან ამ დროს ღება ყვავის; ყვავილები ლეროს ბოლოზე სხედან ჯგუფად, შორიდან თეთრად ჩანს, მაგრამ ნერებისფერია. ყვავილი მსხვილია და ლამაზი. ღება დაბალი, მარალმწვანე მთამაღალის წარმომაღვენელი ბუჩქია, ჩვეულებრივ 1800 მ სიმაღლიდან 2800 მეტრის სიმაღლეზე იზრ-დება, ე. ი. გვხვდება მთების შუა საჩტყლის ტყის პირებიდან ვიღრე ალპურ სარტყელამდე. ქვემოთ იგი 1-1,5 მეტრის სიმაღლეა, ალპურ სარ-ტყელში 20-30 სანტიმეტრის სიმაღლისაა. ზოგჯერ მიწის პირიდანვე ყვავილობს.

ღებაც შესამეულის რელიქტია, წარსული გეოლოგიური ეპოქიდან შემორჩენილი. ამას ორ რამეში ამჟღავნებს: ჭერ ერთი, მარალმწვანე ფოთოლები აქვს. მეორე, მთაში ცხოვრობს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ღრმა თოვლითაა დაფარული, მაშინ ყინვა ვერას იკლებს, მაგრამ ჩვენს მთამაღალში ხშირია ზვავები. როდესაც ღებიანს ზვავი გადაუვლის, თოვლიც თან მიაქვს და იმ აღვილას, საღაც დეკიანი მოტიტვლები, დე-კა ძირფესვიანად იყინება.

ღება ჩვენს ხალხში ფრიად პოპულარულია.

დიდი ვაჟი, აკი ამბობს ერთგან:

მოგესალმებით ქედებო,  
მომაქვს სალაში გვიანი,

ნეტაშე ჩემს საფლავს ამკობდეს  
 უნი დეკა და ლვიანი.

ამაზე დიდი ქება მცენარისა წარმოუდგენელია.

მაგრამ არანაკლები სიყვარულით იხსენებს მას ანა კალანდაძე

თოვლწყალო, თავჭე მოდიხარ,

კლდე დაგრგდია ფრიალო...

სალამი!

— მოხველ მშვიდობით?

კვლავაც მშვიდობით გეაროს!

— გაცილებს დეკას ყვავილი

სინანულით და ალერსით...

ხალხში კი ლეგენდადაა დარჩენილი, რომ ერეკლე მეფემ ინატრა: „ნეტა ისე არ მოვკვდე, დეკაზე ნახუხი მწვადი არ ვჭამო და თოვლის ნა-  
ჟური წყალი არ დამაღევინაო“.

მწვადი, დეკაზე ნახუხი — შემწვარი სურნელოვანია, რადგან დეკა  
ფოთოლსა და ლეროში საქმაო რაოდენობით შეიცავს ეთეროვან ზეთებს,  
რაც მწვადს აძლევს სურნელებას. ნედლ დეკასაც, ეთეროვანი ზეთების  
გამო, ცეცხლი აღვილად ეკიდება. ამიტომ ალპურ სახტყელში, სადაც  
შეშა ცოტაა, დეკა შემობასაც წევს.

მართალია, დეკა ჩვენს მთაში ბევრია, მაგრამ მაინც გაფრთხილება  
უნდა, იგი იცავს ნიაღაგს ეროზისაგან, ინახვს წყალს ნიაღაგში და სხვ.

## 7. მეგრული არეი (Betula megrelica D. Sosn.)

მეგრული არყი გვხვდება მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, ისიც  
აფხაზეთისა და სამეგრელოს კირქვიანი მთების ფერდობებზე, მთამა-  
ღალში — 1200 მეტრიდან ვიდრე 2100 მეტრამდე.

დაბალი, ტანბრეცილი ხეა, ქერქი თეთრი აქვს, ტოტები დახრილი,  
ფოთოლი თხელია, სიგრძით ხშირად 8 სმ, სიგანით 5-6 სმ, მამრობითი  
ყვავილები (ლეკვები, საყურე) მჭადაა, ყლორტის ბოლოზე სხედან,  
მდედრობითი მჭადა ყვავილები თითქმის მჯდომარეა.

რელიქტია, ფრიად იშვიათი რელიქტი.

აქვს მნიშვნელობა მთამაღალში, შიშველი აღგილების გასატყიანებ-  
ლად.

ჩვენში, გარდა მეგრული არყისა, გვხვდება კიდევ 4 არყი. სახელ-  
ლობრ მეჭეჭიანი არყი, ლიტვინოვის არყი, მედვედევის არყი და რადეს  
არყი (ანუ შავი არყი). ყველა ეს არყი მთამაღალის მცენარეა, იქ ქმნიან  
ტყესა და კორომებს. პირველი ორი მთამაღალის სუბალპების მთავარი

შემქმნელია კავკასიონზეც და სამხრეთ საქართველოშიც. რაღაც უკანია  
(მავი არყი) კავკასიონის ენდემია, იალბუზიდან დაღესტნამდე გვთავაზე,  
მედვედევის არყი კი აჭარის ენდემია.

არყები ქმნიან სუბალპების არყნარებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენს ბუნებაში. ისინი ანელებენ ზვავებს (ზვავების დაწოლისაგან არიან ტანბრეცილები). ინახვენ ნიადაგში შეალს და მთის ფერდობებს იცავენ ეროზიისაგან.

გარდა იმისა, რომ ისინი ჩვენი ენდემებია და უნდა გავუთრთხილდეთ, მათ დიდი სარგებლობა მოაქვთ ჩვენი ბუნებისათვის.

## 8. პონტური მუხა (*Quercus pontica* C. Koch.)

საქართველოში რვანაირი მუხა გავრცელებული: ქართული მუხა — ტელ საქართველოსა და კავკასიაში; გრძელყუნწა მუხა — ჭალის ტყეებსა და ბარში, იმერული მუხა — დასავლეთ საქართველოს დაბლობშია გავრცელებული; ჰარტვისის მუხა — დასავლეთ საქართველოს მთის კალთებისათვის ტიპობრივია, 500-600 მეტრის სიმაღლემდე, ჭოროხის მუხა გავრცელებულია აჭარაში; მთამაღალი მუხა ტიპობრივია კავკასიონის სამხრეთ ფერდობებისათვის აღმოსავლეთ სვანეთამდე და სამხრეთ კავკასიონისათვის სომხეთის ჩათვლით, ხუჭუჭა მუხა და, ბოლოს პონტური მუხა.

ქართველ ხალხს მუხა უყვარდა და უყვარს, ძველად მას აღმერთებდნენ კიდეც. შემოხვევითი არ არის, რომ შემდევში ტაძრები აიგო ისეთ ადგილებში, სადაც კერპები იდგნენ (რკონი, ჭყონი). სოფლების სახელწოდებაში მუხა ჩვეულებრივია: მუხრანი, მუხათი, მუხისი, მოხისი, რკონი, ჭყონი, მუხროვანი და სხვა.

შექმნილია მრავალი არაკი და ანდაზა.

„დარბაზიო დაიქცაო“ — უთხრეს მუხას. „ჩვენი ხომ არვინ ერიაო“, „არაო“ — უპასუხეს. „კიდეც მაგიტომ დანგრეულაო“.

„ცულმა მუხას შეუტია“. „უნდა მოგჭრაო“, — „შენ მე ვერას დამაკლებდი, ჩემი ძმა ტარად რომ არ გქონდეს გაყრილიო“...

დარბაზები, ძველი სახლები, ხომ სულ მუხით აყო ნაგები. პონტური მუხა ცალკე იმიტომ გამოვყავით, რომ იგი სამხრეთ საქართველოს ენდემია. მიუხედავად იმისა, რომ, პონტის ქედზეც იზრდება, მაგრამ ეს ხომ ძველი ნაწილია იმ მხარისა, სადაც დღეს პონტური მუხა იზრდება. ივი დამახასიათებელია მთამაღალისათვის 1300 მეტრიდან სუბალპების ტყეების დასასრულამდე, სწორედ ამ ტყეებში ქმნის საკმარისად კარგ კორომებს. ფოთოლი წააგავს წაბლის ფოთოლს. ისინი საკმაოდ დიდები არიან — 10 სმ-დან 35 სმ-დაც კი, სიგანე 4-15 სმ აქვს. მამრობითი



მჭიალა ყვავილი (საყურე) 10 სმ სიგრძისაა, მდედრობითი მჭიად ყავილი და ლები ყლორტის ბოლოზე სხედან. 1-3 რკო ბუდეებში ზის მხოლოდ ქვედა ნაწილით.

გვხვდება როგორც ბუჩქი და ხე.

ხე ლამაზი და კოპტიაა, შემოდგომაზე მისი ფოთოლი წითლდება და მაშინ ეს მუხა წითელი ხისან მაყარს წააგავს. კარგი იქნება იგი ჩვენი პარკ-ბაღებისათვის. უნდა გაუფრთხილდეთ, რადგან მისი ფართობა წლითი-წლობით მცირდება.

კავკასიაში — აზერბაიჯანში (ლენქორანში), არის კიდევ ერთი მუხა — წაბლფოთოლა მუხა, რომელიც ფართოდ უნდა გამოვიყენოთ გამ-წვანებისა და გატყიანების საჭმეში.

#### 9. ჩართული ნუში (*Amygdalus georgica* Dusf.)

ჩვენს ჯაგეკლიანებშიც კი ისე ჩანს, როგორც ქონდრის კაცი ახოვან ხალხში. ქართული ნუში პატარა ბუჩქია, ხშირად ნახევრი მეტრის სი-ზალდე და ამ პაწაწინა მცენარეზე გეგონებათ ხელით შეუხუნზლიათო, ასეთი მოსხმული ნუშის კაკლები, ხშირად 20-40 ცალი.

მართალია, მშრალ იდგილებში ნახევარი მეტრის სიმაღლეა, მაგრამ უკეთეს პირობებში მეტრნახევარსაც აღწევს, მაგალითად, სამგორში, ქვათეთრის ჯაგნარებში.

ქართული ნუში საქართველოს ენდემია, გვხვდება მხოლოდ აღმოსავ-ლეთ საქართველოში. პირველად იგი მეცნიერებმა სოფ. ივოიოში ნახეს, ლეხურის მარცხენა ნაპირის გორაკების ჯაგეკლიანებში (ძეძვი, შავჭავა, კვრინჩი, მუხა; ბალახებიდან სამი იორდასალამი: წვრილფოთლება, კავკასიური და მაიკო). აქედან ქართული ნუში დასავლეთით ტირიფო-ნამდე მიღის და აღმოსავლეთით შირაქამდე აღწევს. წლევის ქედზე (ლეხურასა და ქანს შორის გადაჭიმულ ქედზე) და ოკამის ქედზე ტყის პირამდე აღწევს. ოკამის მოპირდაპირე ფერდობებზე დედი რაოდენობით იყო გავრცელებული, ხშირად მცირე ფართობზე ასამდე ძირი, თი-თოეულ ძირზე კი 5-10 ნაყოფი იყო, ზოგჯერ მეტიც.

უკანასკნელ ხანებში სახნა-სათესისა და ბალ-ვენახის ფართობების გაზრდის გამო ზემოთ დასახელებული ჯაგნარები ამოიძირკვა და გადა-დხნა. მას თან გაჰყვა ნუშიანებიც. იგორეთის, სამთავისისა და ქვემო ჭა-ლის ფერდობებზე არსებული ბუჩქნარები აღკვეთილად უნდა გამოცხადდეს, რათა ეს ნუში გადავარჩინოთ, მით უმეტეს მეცნიერებისათვის სწორედ ამ ადგილიდან აიწერა. ამ იშვიათი ენდემის არეალი თანდათა-ნობით მცირდება.

## 10. ჩართული ბერენა (Pyrus georgica Sch. Kuthath.)



ქართული ბერენა აღმოსავლეთ საქართველოს ველებშია გავრცელებული. უფრო ჩვეულებრივია ძეგვიანებში, გაგეკლიანებში ან თავისუფალ ადგილებზე, ბევრგან პატარა კორომებსა ქმნის შირაქის ნაოლი ტყეების ფარგლებში ან ჩვეულებრივად მარტო მდგომი ხეებია. მას რამდენიმე სახელი აქვს: ოლე, ბერენა, პანტაფშატა. გიორგი ლეონიძემ, მარტო მდგომ ოლეს შესანიშნავი ლექსი უძლვნა:

შენ ლიახვის კლდეზე დგეხარ,  
ძველი მოსახამით,—

ოლე,  
ოლე,  
მარტო ხეო,  
დღისითა და ღამით  
შიგნიდანვე გამომწვართ  
მარტოობას შხამით...

პანტაფშატა უწოდეს იმიტომ, რომ უფრო ხშირად გავრცელებულ ბერენას ვიწრო მოგრძო ვერცხლისფერი ფოთლები აქვს, ვერცხლისფერი, რაღვან ფოთოლზე აბრეშუმისებრი ხშირი ბუსუსი, განსაკუთრებით ქვედა მხარეზე სიმწვანეს ფარავს და ფშატის ფოთოლივით ბრწყინვას.

საქართველოში ველურად 10-12 პანტაა (ველური მსხალი), მათ შორის პანტა ორია — ჩვენს ტყეებში გავრცელებული პანტა, რომელსაც მეცნიერულად კავკასიური პანტა ეწოდება. იგი ბევრგან დიდ კორომებსა ქმნის და ბალანზის პანტა, რომელიც ლაზეთისა და აჭარის ტყეებშია, როგორც ფრიად იშვიათი, მაგრამ ამჟამად ჩვენს ტყეებში არ არის ნანახი.

დანარჩენები ველების პანტებია, ბერენები, რომელთა ნაყოფი მეტად მწერლარტეა და უხეში, შეიძლება, სწორედ ამიტომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ამ ბერენას დათვის ხილი შეარქვეს.

ეს ბერენები ერთმანეთისაგან ფოთლებისა და ნაყოფის მოყვანილობით განსხვავდება. ზოგიერთი ფრიად უბუსვილია, ზოგი შიშველიც კია, ზოგის ფოთოლი კვერცხისებურია და სხვ. ესენია საქართველოს ბერენა, ელდარის ბერენა, ხერხებილა ბერენა, სახოკის ბერენა, ტახტაჯიანის ბერენა, კეცხოველის ბერენა, ფედოროვის ბერენა, ტირიფოთოლა ბერენა. ზოგიერთი მათგანი სულ რამდენიმე ათეული ხეა გადარჩენილი. მაგალითად, სახოკის ბერენა ზილიჩაში ორმოციოდე ხელაა დარჩენილი შავიტყის პირებში.

ნაყოფს ორმოში ინახავენ და იქ ამწიფებენ, უფრო ხშირად მისგან

სპირტს ხდიან. იგი შესანიშნავია მსხლის საძირედ და ხრიოქი ადგილობრივ ბის გასატყიანებლად. ყოველ შემთხვევაში ასეთი ადგილების ხელოვნური ტყეების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი უნდა იყოს. ბერყენებიდან ყველაზე ხშირად გვხვდება ქართული ბერყენა (რომელსაც წინათ ფშავებითობა ბერყენა ეწოდებოდა) და ტირიფოტოლა ბერყენა. უმღარჩენილი ბერყენების მოჭრა და ამოძირება უნდა აიკრძალოს, უმრავლესობა ენდემია ან საერთოდ იშვიათი.

1. გენტია (Gentiana pontica Solt.)

„თეთრი თოვლის ქვეშ ლამაზ ენძელას  
სძინავს უთვალიავს...  
როცა ისინი მოიშორებენ  
თოვლის სუდარას,  
მე მაშინ მოვალ შენთან მთებში,  
ჩემ შავთვალავ.“

გვრიტას დღემდე გაუგებრობის გამო, ნაღველას უწოდებდნენ, რადან ერთ-ერთ უცხო ენაზე მას მშარია ეწოდება, ქართულადაც ლიტერატურული ანალიზი ნაღველა უწოდეს.

გვრიტების გვარიდან მსოფლიოში სამასამდე სხვადასხვა გვრიტაა: გვრიტების გვარიდან მსოფლიოში სამასამდე სხვადასხვა გვრიტაა: საცოცხავი კაცში 100-ია, კავკასიაში 30-მდე. ბარში დიდტანოვანები არიან, განსაკუთრებით ტყის პირებში, ორო ხშირად 50-70 სმ სიმაღლისანია, მაგრამ ალპურ ხალებში გავრცელებულ გვრიტას ორო თითქმის არა აქვს, მიწას არის ჩახუტებული და დიდი მუქი ლურჯი ყვავილი თითქმის ფესვიდან იწყება. საერთოდ მთამაღლის მცენარეთა ყვავილი დიდია და კაშკაშა, ასეთ ყვავილებს მწერები ადვილად ხელავენ, ზედ სხდებიან, მტკერსა და ნექტარს იღებენ, ამავე დროს ხელს უწყობენ მცენარეთა დამტვერვას.

ალპური ხალის განუყრელი თანამგზავრია პონტური გვრიტა, ჭიმი-ლის გვრიტა და სხვა მისთანანი.

## ჭ. ოორდასალამი, პეონია (Paeonia majko Ketz.)

ჩვენს სურათზე მეორე მაიკოს იორდასალამია დახატული, გამაცხადებულია გარდა ამისა, ჩვენში კიდევ არის: წვრილფოთოლა იორდასალამი, რომელიც ველებსა და ჭაველიანებში იზრდება, გაზაფხულზე აპრილის ბოლოს მისი კაშკაშა წითელი ყვავილები ალისფრად ელვარებენ ხასხას მწვანე მოლის ფონზე; მისი მეზობელია და წააგავს ქართლის იორდასალამი. მასაც წითელი ყვავილები აქვს, ორივე იორდასალამის ფოთლები წვრილადაა დაინაკვთული. ქართლის იორდასალამის ფოთლის ნაკვეთი 2-3-ჯერ განიერია, მუხნარ-რცხილნარებში კი კავკასიური იორდასალამი იზრდება. მისი ფოთლები სამყურაა, ფოთოლაკები განიერია, ყვავილი მუქი წითელი ან მოწითალო-მოლურგოა. დანარჩენი ჩვენი იორდასალამი თეთრ ან ყვითელყვავილიანია. მთის ტყის მცენარენი არიან: ესენია აფხაზეთის იორდასალამი, ვიტმანის იორდასალამი, დიდფოთოლა იორდასალამი და მლოკოსევიჩის იორდასალამი. ყველა ჩვენი ველური პეონია ლამაზად მოყვავილეა, ბუნებიდან ბაღში გაღმოსატანი. თუ გაღმოვიტანთ მხოლოდ ისე, რომ, საიდანაც გაღმოვვაქვს, იქ სამი მაინც დარჩეს. მაიკოს იორდასალამი გაუფრთხილებლობის გამო ბუნებაში მხოლოდ რაშენიმე ცალილა გვხვდება. მლოკოსევიჩის იორდასალამზე ცალკე ვისაუბრებთ.

## 3. იულიეას ფურისელა (Primula juliae Kusn.)

ფურისულები საქართველოში ბევრნაირია გავრცელებული, 22-მდე მაინც იქნება, ყველა თავისებურად ლამაზია, განსაკუთრებით მთამაღლის ფურისულები. ჩვენი ტყეების გაზაფხულის მშვენებაა პირისფერი ფურისულა, რომელიც ლამაზ ხალიჩასავით გიღაიფინება ხოლმე წითლისა და რცხილის ტყეში, ყვავის სანამდე ტყე გაიფოთლება. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ტყის ლამაზად მოყვავილე ყვავილებიდან უმრავლესობა ადრე გაზაფხულზე ყვავის, სანამდე ტყე გაიფოთლება და ფოთლებით უხვად შეიმოსება. გაფოთლილ ტყეში მზის სხივები მიწამდე იშვიათად აღწევენ და უმზეოდ კი ეს მცენარეები თავის განვითარების ციკლს ვერ ამთავრებენ.

იულიეას ფურისულა პირისფერ ფურისულასაგან იმით განსხვავდება, რომ ამ უკანასკნელის ფოთლები უხვადაა შებუსვილი, პირველის ფოთლებს კი ბუსუსი არ ახასიათებს. იგი აღმოჩენილია ლაგოდეხის ტყეში, საქართველოს ენდემია.

პირისფერი ან კორონვის ფურისულა იზრდება მუხნარში, რცხილნარებსა და წიფლნარებში. ამ ფურისულასაგან ბევრით არ განსხვავდება

აფხაზეთის ფურისულა, დასავლეთ საქართველოს ტყეების ბინადრის საგურამოს ფურისულა.

ჩვენს ტყეებში ხშირად შეგხვდებათ ყვითელყვავილიანი დოდგაძა ფურისულა. ესეც აღრე გაზაფხულზე ყვავის.

#### 4. ციშრა (Scabiosa olgae N. Alb.)

ოლღას ციურა ერთ-ერთი ულამაზესი მცენარეა გოგშოსებრთა ოჯანში, მისი ცისფერი ნაზი ყვავილები შეკრებილია კალათისებურ თავთავში და საკმაოდ მაღალ ღეროზე ზის, ღერო მიწისაკენ რკალისებურადაა შოხრილი, შემდეგ შესწორდება და შრავალი ფოთლითაა შემოსილი. ფოთლები და ღერო შებუსვილია აბრეშუმისებრ ბუსუსით. მრავალ-შლოვანია, იზრდება მხოლოდ აფხაზეთში, იგი ჩვენი ენდემია და უნდა ამშვენებდეს ჩვენს პარკებსა და ბაღებს. ბუნებაში კი მასაც დიდი გაფრთხილება უნდა. გამრავლება შეიძლება თესლით, რომელიც ბუნებაში უნდა შეგროვდეს.

#### 5. ჩართული ზამბახი (Iris iberica Hoffm.)

ჭართული ზამბახი ჩვენებური პირველი გაზაფხულის მშვენებაა. იგი გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში, მცეთიდან მოყოლებული და გადადის აზერბაიჯანში მდ. ქციის მარჯვენა ნაპირზე, სადაც ავშნიან ველებსა და ნახევარულაბნოებშია გავრცელებული განჯამდე (ახლანდელ კიროვაბაღამდე). იზრდება ჭგუფებად, იშვიათია, ხშირად 20-30 კმ გაივლი და არ შეგხვდება.

ყვავილი ფრიად ორიგინალური და თავისებურია. ერთი გადმოღუნულია და მიხაյისფერია, მრავალი მუქი ძარღვითაა მოხატული, აღმამდგრმი ფურცლები ნაზი მოთეთრო-იისფერია, ორი მიხაისფერი განზენია გაშვერილი. დაბალი, 25-30 სმ ღერო აქვს. კულტურაში გაღმოტანილი ხშირად 80-90 სმ სიგრძის იზრდება, მაგრამ მოსავლელად მეტად ფაქიზია.

ყვავილი ეფემერულია, ლარნაკში 2-3 დღეს ძლებს მხოლოდ. აღმ. საქართველოში უხვად იყო გავრცელებული. ბევრი იყო თბილისის გარშემო გორაკებზე, მაგალითად, იმ ქედზე, რომელიც საბურთალოს ლი-სიდან გამოყოფს, სამხრეთ ფერდობზე ზოგიერთ ხეებში ულამაზეს ჭგუფს ქმნიდა აღრე გაზაფხულზე, მაგრამ ამჟამად იქ სახლები აშენდა. მთავარი მაინც ისაა, რომ მას ხალხი არ უფრთხილდებოდა.

დღეს ყველაზე კარგი ჭართული ზამბახიანი დაჭგუფება გატეხილი ხიდის მიდამოებში შემოგვრჩა.

საქართველოში ბევრია ლამაზიად მოყვავილე ზამბახი, მაგრამ პირველ  
რიგში ყურადღება მისაქცევია ქართლის ზამბახი, კოლხეთის ზემოთი,  
ყვითელი ზამბახი და სხვ.

## 6. ნ. პეცოველის სკორცონერა (*Scorzonera ketzkhoveli D. Sosn.*)

ეს სკორცონერა ულამაზესია ამ ჭავუფის მცენარეებში. ღერო სწორ-  
მდგომი აქვს 40-50 სმ სიმაღლისა, უხვადაა შეფოთლილი მოგრძო ფოთ-  
ლებით. მთელი მცენარე ქეჩისებურად არის შებუსული აბრეშუმისებრი  
ვერცხლისფერი ბუსუსით და ერთი შეხედვით ვერცხლისაგან ნაეანდაკებს  
ჰგავს. ღერო მთავრდება რამდენიმე კალათათი, რომელშიც ლამაზი ოქ-  
როსფერი ყვითელი ყვავილები სხედან.

იგი გავახეთში მხოლოდ თეთრობის ხეობაში იზრდება და საქართვე-  
ლის ენდემია. უნდა ვერიდოთ ბუნებაში შეკრებას. გადმორგვით ძნე-  
ლად მრავლდება. ჭობია თესლით გავამრავლოთ. მისი რძიანი წვენი კაუ-  
ჩუქს შეიცავს. ბავშვები მას ხშირად აგროვებენ და კევს აკეთებენ, მას  
„მთის კევს“ უწოდებენ.

საქართველოში სულ ცხრა ფამფარა-სკორცონერა იზრდება. ასეთი  
და დიდი და განიერთოთლიანი ფამფარა კი 2-3-ია, სხვებს ფოთოლი  
კიწრო და გრძელი აქვთ. სკორცონერაა ფამფარაც. „ფამფარა მაშინ გაწყ-  
და მე რომ მენახირედ დავდექო“ — დაიჩივლა მწყემსმა. ფამფარას ფო-  
თლები აღრე გაზაფხულზე ნაზია და რძიანი, მას უმაღ ჭამენ.

## 7. მლოკოსევიჩის იორდასალაში (*Paeonia mlokosewitschii Lom.*)

მლოკოსევიჩის იორდასალაში აღმოსავლეთ საქართველოს ენდემია.  
პირველად იგი აღმოჩინეს ლაგოდეხის ტყეში: მეცნიერებმა აქაური  
სწავლული მეტყევის გვარით მონათლეს. გარდა ლაგოდეხისა, გვხვდება  
ლაგოდეხის მოპირდაპირე ალაზნის შარჯვენა ნაპირის ველების ფარგ-  
ლებში, გაგეკლიანებში. მაგალითად, სოფ. არხილოსკალოსთან ფერდობ-  
ზე, ნავისწყლის ხევის ფერდობზე. ამ ხევში შემორჩენილია პატარა მუხ-  
ნარ-რცხილნარი კორომი, რომელშიც ქართული ნეკერჩხალიცაა შერეუ-  
ლი. ეს კი იმის ნიშანია, რომ ამ მხარის საგრძნობი ნაწილი ტყით ყოფი-  
ლა დაფარული.

ფრიად ლამაზი მცენარეა და დეკორატიული. მებაღეობაში საპატიო  
აღგილი უნდა დაიკავოს. ადვილად მრავლდება თესლით.

## 8. აღმოსავლური ყაყაჩო (Papaver Orientale L.)

საქართველო  
განვითარება

საქართველოში ყაყაჩო ბევრია, 14 სხვადასხვა სახეობა იზრდება, მაგრამ მათ შორის ყველაზე ლამაზია აღმოსავლური ყაყაჩო, რომელიც 80-90 სმ სიმაღლის იზრდება მთამაღლში, უმთავრესად სუბალპურ ტყეებში. სილამაზით ვერც სხვა ყაყაჩოებს დაემდურებით, განსაკუთრებით, როდესაც მთის ფერდობზე და საერთოდ მთასა და ბარში ერთად იფერჭებენ ხოლმე და გადაწითლებენ მინდორ-ველს. ამ ზროს მინდორი და მდელო ისეთია, თითქოს წითელი ხალიჩა დაუგიათო.

ალბათ ამან ათქმევინა ლადო ასათიანს:

„ჰეი, ძმობილო, შეხედე, რამდენი ყაყაჩო გაშლილა,  
რაც უფლისციხეს გამოცდით, უფრო და უფრო გახშირდა;  
მინდვრებს, გორაკებს, ფერდობებს ეფინება და ედება  
გზაში ყაყაჩოს შეხვედრა სიკეთედ დაგვებედება.“

აღმოსავლური ყაყაჩოს ყვავილები მსხვილია, ყვავილის ფურცელი ხშირია, 10 სმ სიგრძისა და 5 სმ სიგანისა, ასეთი ზომის გვირგვინის ფურცლები ჩვენს ველურ მცენარეებში იშვიათია. წითელი ფერისაა, მაგრამ ეს ფერიც ფრიად მრავალნაირია: აგურის ფერიდან დაწყებული კაშკაშა წითლამდე ყვაველნაირი გარდამავალი გამა. აღმოსავლურ ყაყაჩოს წააგავს ყვავილთანიანი ყაყაჩო. თუ აღმოსავლური ყაყაჩო ირანსა და თურქეთში გვხვდება, ყვავილთანიანი კავკასიის ენდემია.

მთის მდელოების სიმშვენიერეა, თვალისა და გულისათვის სამოასაცემად.

„ამ მშვენიერ შინდორ-ველზე რა ნაირი ფერებია?  
ყაყაჩოსა სიწითლითა ყანა დაუმშვენებია.“

ანა კალანდაშვილი

## 9. კაბაჭრელა (Erythronium caucasicum G. Wor.)

კაბაჭრელა პირველი გაზაფხულის სტუმარია, ადრე იცის ტყეებში თვალის გაჭყეტა.

მართალია, პატარა მცენარეა, მაგრამ სპეტაკი და ნაღების ფერი ყვავილების გამო კარგად ჩანს და მომხიბვლელია. ყვავილსაფარის ფურცლები მოწინწკლულია. 10-15 სმ სიმაღლის მცენარეა. ორად ორი ფოთოლი აქვს, ლანცეტისებრი, განიერი ქვემოთ ღეროს შემოხვეული, მოპირდაპირედ. იგი მუქი წითელი ფერის წინწკლებითა დაფარული და სწორედ ამიტომაა, რომ კაბაჭრელას უწოდებენ. ესეც კავკასიის ენდემია.

ბოლქვიანი მცენარეა და ბალებში იღვილად ხარობს. თუ ერთ ძირს წამო-  
იღებთ ბაღში დასარგავად, ბუნებაში, იმ აღვილას, საიდანაც წამო-  
ოცი ძირი მაინც უნდა დარჩეს. უნდა გვახსოვდეს, რომ ზღვა კოვჭით  
დაიღევა.

## 10. შართული ვარსკვლავა (*Aster ibericus* Stev.)

საქართველოში ექვსი ვარსკვლავაა. მათ შორის დეკორატიულობით  
ქართული ვარსკვლავა და ალპური ვარსკვლავა გამოიჩინევიან. ვარსკვლავა  
რთულყვავილოვანთა წარმომადგენელია. ქართული ვარსკვლავა იზრდება  
მთაშიც და ბარშიც: ბარად — ველებში, ძეგვიანებში და ტყისპირებზე,  
მთაში — 2000 მეტრის სიმაღლეზე, ტყეში და მდელოებზე. მის ყვავი-  
ლებში (კალათში) შეკრებილია მრავალი მოცისფრო ყვავილი, კალათა  
დიდია და ლამაზი, ყვავილობს ზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე. ღრეული  
და სმინქის აღწევს.

ალპური ვარსკვლავა კი უფრო პატარაა, დაბალი, ხშირად ერთლერო-  
იანი და ერთყვავილიანი. სიმაღლით 5-15 სმ-ია.

ქართული ვარსკვლავა მრავალგზის იტოტება და ყოველი ტოტი ყვა-  
ვილით მთავრდება. ხშირად ისე უხვადაც, რომ ერთი ღერო თაიგულის  
ჟთაბეჭდილებას ტოვებს.

ქართული ვარსკვლავა კავკასიის გარდა, გვხვდება აღმოსავლეთ  
ანატოლიაშიც.

იგი ლამაზია და დეკორატიულ ბალებსაც უნდა ამშვენებდეს.

## 11. საოცარი კანკეზა (*Campanula mirabilis* N. Alb.)

ამ კენკეზას საოცარი უწოდეს იმისათვის, რომ შალიან ლამაზია და  
ხრიოვ აღვილებზე იზრდება. ლამინურად „კამპანულა მირაბილის“ და-  
არქვეს, „მირაბილის“ სწორედ საოცარს ნიშნავს. ძლიერი მცენარეა,  
70 სმ სიმაღლეს აღწევს, უხვადაა შეფოთლილი საქმაოდ სქელი ფოთ-  
ლებით. ცისფერი მრავალი ყვავილი ფოთლის იღლიებში სხედან. სრულ  
ყვავილობაში მცენარის ღერო ისე უხვადაა ყვავილებით დატვირთული,  
რომ კაცს ევნება ხელოვნურად დაუხუნზლიათო.

გვხვდება მხოლოდ აფხაზეთში კირქვებზე არაბიკის ქედზე, ჩვენი ენ-  
დემია.

## ს ა რ ჩ ი ვ ი

## ხელში და ბუჩქები

1.	უნგერნის  შეკრი	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	3
2.	ძელჭვა	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	3
3.	ქართული თხილი	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	4
4.	მთამალის  ბოკვი	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	5
5.	ქართული  ნეკერჩალი	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	6
6.	დეკა	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	7
7.	მეგრული  არყი	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	8
8.	პონტური  მუხა	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	9
9.	ქართული  ნუში	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	10
10.	ქართული  ბერებენა	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	11

## ბალაზები

1.	გვრიტა	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	12
2.	იორდასალამი, პეონია	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	13
3.	იულიეას  ფურისულა	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	13
4.	ციურა	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	14
5.	ქართული  ზამბაზი	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	14
6.	კეცხოველის  სკორცონერა	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	15
7.	მლოქოსევიჩის  იორდასალამი	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	15
8.	აღმოსავლური  ყაყაჩო	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	16
9.	ქაბაჭრელა	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	16
10.	ქართული  ვარსკვლავა	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	17
11.	საოცარი  კენკეშა	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	17

რედაქტორი დ. სალუ ჭვაძე  
სამხატვრი რედაქტორი ნ. ლაფაჩი  
ტექნიკური მახარაშვილი  
უფრ. კორექტორი ლ. კობახიძე  
კორექტორი ლ. შვანგირაძე

ნბ. № 2015

გადაეცა წარმოებას 2.II.87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.08.89: ქაღალდის ზოა  
60×90<sup>1/16</sup>. საბეჭდი ქაღალდი 1. გარნიტურა ვენა. ბეჭდვა მაღალი. ნაბეჭდი თაბაზი 1,25.  
სალებავგატარება 2,25. სააღრიცხვო-საგამოძებლო თაბაზი 1,26.

შე 10.885 ტირაჟი 10.000 შეკვთ. № 2249

ფასი 10 გაპ.

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, ორგანიზიბის ქ. № 50.  
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.  
1989

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის გაჭრობის საქმეთა  
სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება  
ქ. ქუთაისი, ა. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33.

Кутаисское полиграфическое производственное объединение  
Государственного комитета по делам издательств, полиграфии  
и книжной торговли Грузинской ССР  
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33.

н +8/405



Кецховели Николай Николаевич  
ЛЮБИ И БЕРЕГИ  
(на грузинском языке)



۱۰۵۳.

